სასტრუქტურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №03-03222972. 24/10/2022 წერილის მიხედვით, წარმოგიდგენთ სამტრედიის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და კეთილმოწყობის სამსახურის მიერ 2022 წლის 1 იანვრიდან 10 თვის მანძილზე გაწეული სამუშაოს შესახებ ანგარიშს.

2022 წელს სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სხვადასხვა ფონდების დაფინანსებით განხორციელდა შემდეგი სახის პროექტები:

1. რეგიონული განვითარების ფონდის დაფინანსებით - 69 ლოკაციაზე (33 ლოტი) განხორციელდა ინფრასტრუქტურული პროექტები, რომლებზეც გამოიყო 6 705 787,00 ლარი, მათ შორის რეგ-ფონდის წილი იყო 5 744 356,00 ლარი, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტის 961 431,00 ლარი. აქედან ორი პროექტი 2021 წლიდან გარდამავალია (დაფნარი-ოფეთის გზა და რაგბის სტადიონი), ხოლო 2022 წლიდან 2023 წელს ასევე გარდამავალ პროექტებადაა გადმოსული 5 პროექტი (2 ლოტი - ჯიხაიში ჭაგნის გზა და ჩხენიშის მიმართულება). 64 ლოკაციაზე მოხდა ასფალტო ბეტონისა და ბეტონის საფარით გზების რეაბილიტაცია. დაიგო 22 780 გრძ.მ ასფალტ ბეტონისა და 8 730 გრძ.მ ბეტონის გზა. აშენდა 1 ამბულატორია, სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა 1 სკვერსა და 3 სპორტულ ობიექტს.

სამუშაოები შესრულებულია როგორც ფაქტიურად ასევე საკასო შესრულებით100%-ით.

2. საპილოტე რეგიონების ინტეგრიტებული განვითარების პრორამით - დაფინანსდა 14 პროექტი (10 ლოტი). 7 მრავალსართულიანი კორპუსების ფასადების რეაბილიტაცია; 3 გზა; 2 სკვერი; 1 ბაგა ბაღი და 1 საზ. სივრცეების გამყოფი ზოლები (ღობეები) მოწყობა. აქედან ნაბაკევის სკვერი გარდამავალია და გადმოსულია 2021 წლიდან ხოლო იანეთის ბაღი და ღობეების პროექტი გარდამავალია 2023 წელში. სულ გამოყოფილია 5 846 065 ლარი, აქედან სრიგპ-ს წილია 5 340 511 ლარი, ხოლო თანადაფინასება - 505 553 ლარი.

პროექტები ყველა დასრულებულია გარდა იანეთის საბავშო ბაღისა და საზოგადოებრივი გამყოფი სივრციეებისა. რაც შეეხება ფასადებს, 7 ბინიდან 2 დასრულებულია საკასო სესრულებით, 5 დასრულებულია ფაქტიური სამუშაოები და მიმდინარეობს დოკუმენტაციის მომზადება.

3. სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განხორციელებული პროექტები - 2022 წელს მუნიციპალიტეტში 14 ადმინისტრაციულ ერთეულში განხორციელდა 136 პროექტი, რაზედაც გამოიყო 660,0 ათასი ლარი, ხოლო თანადაფინანსებით 117,0 ათასი ლარი. მოხდა 12 სკვერის რეაბილიტაცია, ზოგიერთ მათგანში მოეწყო სავარჯიშო ტრენაჟორები. სხვადასხვა სოფლებში რეაბილიტაცია ჩაუტარდა 9 სპორტულ მოედანს, მოეწყოს საფარი, განათება და შემოიღობა ტერიტორია. არსებულ 6 მგზავრთა მოსაცდელს ჩაუტარდა სარეაბილიტაცო სამუშაოები, მოეწყო განათებები და კეთილმოეწყო მოსაცდელებთან მისასვლელი ტერიტორია. ასევე შემოიღობა სოფლის სასაფლაოები. სოფლის 3 ამბულატორიას ასევე ჩაუტარდა სარემონტო სამუშაოები. გომის საბავშვო ბაღის ეზო შემოიღობა და შეძენილი იქნა შესაბამისი ინვენტარი. მაღალმთიან სოფლებში გამოიცვალა წყალმომარაგების მილები, სულ 6 სოფელში. სოფლის შიდა გზები მოიხრეშა და ზოგიერთ მათგანზე მოეწყო ხიდ-ბოგირები, სულ 21 პროექტი განხორციელდა ამ მიმართულებით. 10 ადმინისტრაციულ ერთეულის სოფლებში განხორციელდა გარე განათების ქსელების მოწყობის სამუშაოები. სხვადასხვა სოფლებში 11 მიმართულებაზე მოეწყო და გაიწმინდა სანიაღვრე არხები. შესყიდვა განხორციელდა 53 პროექტზე. ხოლო 82 პროექტზე შესრულდა სამუშაო.

ყველა პროექტი დასრულებულია გარდა ერთისა - მელაურის ადმინისტრაციულ ერთეულში ამბულატორიის ოთახის რემონტი და სველი წერტილის მოწყობა.

4. სკოლების მცირე რეაბილიტაცია - აღნიშნული პროგრამით მუნიციპალიტეტში დაფინანსდა 2 სკოლა, თანხით - 374 817 ლარი. სოფ. ჩხენიშისა და N2 საჯარო სკოლის (შერწყმული) მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები. ჩხენიშის საჯარო სკოლაში მოხდება საკვამური მილების დემონტაჟი, რეაბილიტირდება სკოლის ფასადი, სპორტული დარბაზი, დერეფანი, კიბის უჯრედები და მოეწყობა ადაპრირებული ლიფტი. ხოლო N2 საჯარო სკოლის შერწყმულ სკოლაში მოეწყობა სარინელი, რეაბილიტაცია ჩაუტარდება იატაკებს, გარემონტდება საკლასო ოთახები და დერეფნი.

თანხა გამოყოფილია 2022 წელს , სამუშაოები გრძელდება 2023 წელაც.

5. ადგილობრივი ბიუჯეტი - 2022 წელს ჩვენს მუნიციპალიტეტში ადგილობრივი ბიუჯეტიდან 4 289 611 ლარით დაფინანსდა 63 პროექტი, მათ შორის მოეწყო და სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა შემდეგი კატეგორიის ობიექტებს:

სკვერი - 4; ნაპირსამაგრი - 1; სპორტული მოედანი - 10; გზა (ასფალტი; მოხრეშვა, ორმული) – 18; სანიაღვრე სისტემა - 10; ბინათმშენებლობა - 7; არასაცხოვრებელი ფართი (მათ შორის 1 ტოლების ბაღის რეაბილიტაცია) – 4; წყლის სისტემა - 1; მოსაცდელი - 8 (შესრულდა 4, ხოლო 4-ზე ტენდერი არ შედგა).

სულ დასრულებულია 42 პროექტი. სეზონდა - 1, სრულებულია - 2, ტენდერის პროცედურა - 6 პროექტ სე. 12 პროექტზე მიმდინარეობს დასრულებითი სამუშაოები.

სულ 2022 წელს სამტრედიის მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად გამოიყო 17 993 280 ლარი.

ერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახური თავის თავში მოიცავს 6 მიმართულებას მათ შორის ერთი ანყოფილება.
ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, მშენებლობის, სამსახურში დასაქმეებულია 9 ანამშრომელი (სამსახურსი უფროსი, განყოფილების უფროსი და 7 სპეციალისტი).
პეციალისტები თავის კომპეტენციის მიხედვით გადანაწილებულია ცალკეულ მიმართულებებზე სამუშაოდ, რომლებიც ყოველდრიურ რეჟიმში ახორციელებენ მათზე დაკისრებული დავალებების შესრულებას. სამსახური ახორციელებს ყველა სახელმწიფო სტრუქტურებიდან მიღებული სხვადასხვა კორესპოდენციების განხილვას და აპასუხო წერილების მომზადებას.
ამსახური უზრუნველყოფს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის - ადგილობრივი მნიშვნეობის გზების, ბიდების, გარე განათებების, სანიაღვრე მეურნეობის, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული კომუნიკაციების განვითარებისათვის შესაბამისი პროგრამებისა და პროექტების მომზადებაში მონაწილეობის ბიღებას და შესაბამისი ელ. ვერსიების დამუშავებას.
ნემოთ ჩამოთვლილ სამუშაოების პროცესში ინფრასტრუქტურის სამსახური მთლიანადაა ჩართული. აღნიშნულ ამუშაოებზე საპროექტო წინანდადებების შემუშავებისა და საორიენტაციო ღირებულებების დადგენის შემდეგ ბდება თითოეული პროექტის მომზადება საკრებულოს სხდომაზე განსახილველად მათი მოწონების მიზნით. ოწონებული პროექტების დაფინანსება კი ხდება საკონსულტაციო საბჭოზე განხილვის შემდეგ. სამსახური ამუშაოების დაწყების დღიდანვე აქტიურადაა ჩართული სამუშაოების პროცესში. ყოველდღიურ რეჟიმში ორციელდებოდა სამუშაოების პროცესზე დაკვირვება და საჭირო შემთხვევაში მონაწილეობდა პროექტების ორექტირებების განხილვაში (სატენდერო კომისიის წევრები).
ამსახური ახორციელებს ესკიზური ნახაზების დამზადებას, ყველა მიმდინარე რგფ-ისა და სოფლის პროგრამით ათვალისწინებული სამუშაოების ტექ. დოკუმენტაციების შემოწმება და კონტროლს კორექტირებებზე, ამსახურის შემადგენლობაშია არის ინსპექტირების ჯგუფის წევრები, ასევე სხვადასხვა მუდმივმოქმედი და დროებითი კომისიის წევრები. ვიხილავთ ფიზიკური პირების განცხადებებს. ხდება ავარიული საცხოვრებელი ახლების ასევე საზოგადოებრივი ობიექტების ვიზუალური დათვალიერება და შესაბამისი დეფექტური აქტების ედგენა.

022 წელს ინფრასტრუქტურის სამსახურს დაეწერა 11500-ამდე კორესპოდენცია, რომლის 80%-ზე მოვახდინეთ რეაგირება.დანარჩენი მიღებულია ცნობის სახით და ნაწილზე მიმდინარეობს შესწავლა-დამუშავება. ამსახურის მონაწილეობას ღებულობს მშენებლობის დროს ფარული სამუშაოების დათვალიერებასა და აქტის ედგენაში, ასევე ადგენს შესრულებულ სამუშაოებზე მოცულობათა უწყისებს.

2022 წლის განვლილ პერიოდში შემოვიდა ადგილობრივი თვითმართველობის მიერ შესაბამისი აპროექტო დოკუმენტაციის საფუძველზე გაცემული, სხვადასხვა ფუნქციური დანიშნულების 65 მშენებლობის ებართვა. ყოველი პროექტის შემოსვლის შემდეგ მიმდინერეობს ამ პროექტებთან დაკავშირებული სამუშაოები, ერძოდ: მფლობელისათვის განმარტებების მიცემა მშენებლობის სანებართვო პირობების დაცვაზე და მათ ესრულებაზე, სანებართვო პირობების დარღვევასთან დაკავშირებით საჯარიმო სანქციებზე, პროექტში �ილებლობის შემთხვევაში ცვლილებების შეტანა (ახალი პროექტი) კანონმდებლობის შესაბამისად. არდა ამისა სამსახური მონაწილეობას ღებულობს საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრთა უსაფრთხო ადაზიდვებზე ზედამხედველობა საქალაქო და საგარეუბნო მარშრუტებზე. მოსახლეობის განცხადებებში ითითებული მგზავრთა გადაზიდვების დროს წარმოქმნილი პრობლემების შესწავლა და მათი ღმოსაფხვრელად შესაბამისი რეაგირება. ქალაქის ტერიტორიაზე საპატრულო პოლიციასთან ერთად მოხდა აგზაო ნიშნების განახლება და ახალი ნიშნების დამატება არსებული სიტუაციების შესაბამისად. „საჯარო კოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფის“ პროგრამით მიმდინარეობ სკოლის მოსწავლეთა

რომსახურეობა და ასევე საგანმანათლებლო და სასეცხლოო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოდან დელეგირებული უფლებამოსილებით ხორციელდება ყოველდღიური მონიტორინგი 23 საჯარო სკოლის მოსწავლეთა მომსახურეობაზე.